ერი

№ 12

1497

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ერთა ერთობა და ჩვენი „ინტერნაციონალისტები—**ა. ალაროდიელისა**; შინაური მიმოხილვა; გაზაფხულის ღამე, ლექსი—**ს. ფაშალიშვილისა**; შეთქმულობა, პიესა 4 მოქ. გადმ. ფრანსუა კოპპეს „სევერო ტორელიდან“—**ა. შანშიაშვილისა**; ბ. სემენოვის მოხსენება--Z.; ჭაერის დაპყრობა—**ინჟ. ივ. მეძმარიაშვილისა**; ნუცალ-ხანი—**ივ. ბუქურაულისა**.

კვირა, 25 აპრილი — საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი — 1910 წ.

ერთა ერთობა და ჩვენი ,,ინტერნაციონალისტები''.

—:—

ერთა ერთობა, თუ ერთი ერისაგან მეორეს გასრესას არ იგულისხმებს, იგი უსათუოდ უნდა იგულისხმებდეს ერთა თანასწორობასა და ამ თანასწორობის ნიადაგზედ მათ კავშირსა. ერი ზნეობრივი სოციალური პიროვნებაა და მხოლოდ როგორც ასეთი არსი შეუერთდება მსგავსსავე არსსა სოლიდარობისა, ძმობისა და თანასწორობის ნიადაგზედ.

ხოლო თანასწორობა ნიშნავს თვითეული პიროვნებისათვის, თვითოეული სოციალური პიროვნებისათვისაც, — ერისათვის საკუთარ, პიროვნულ ღირებულების აღსარებასა. ასეთი აღმსარებელი მისი ღირებულებისა კი არის უწინარეს ყოვლისა ზნეობა და სამართალი,—საერთაშორისო ზნეობა და სამართალი.

მაშასადამე თუ ერთობა ერთა შორის ნიშნავს მათ ძმურს კავშირს, როგორც სწორ-ღირებულების მქონე ზნეობრივ სოციალურ არსთა,—შეუძლებელია საერთაშორისო სამართლისა, და მართალი საერთაშორისო სამართლის ნიადაგზედ არ იდგეს ყოველი გულ-წრფელი მსურველი ერთა ერთობისა და სოლიდარობისა.

ამისათვის კი საჭიროა გამორკვევა ერთა უფლებისა, გამორკვევა ყოველ კერძო შემთხვევაში განსაზღვრულ ერისა, ან ერთა უფლებისა, საჭიროა მორიგების დროს ლაპარაკი ნათელ, გარკვეულ და მეცნიერებაში შემოღებულ საერთაშორისო სამართლის ენითა, და არა ბუნდოვან სურვილთა გამოთქმა, ხშირად მაღალ—ფრაზების რახა-რუხი, უფრო ხშირად კი ისეთ „ერთობაზედ“ და „თანასწორობაზედ“ ლაპარაკი, რომელთაც ან არავითარი აზრი არა აქვსთ საერთაშორისო სამართლის ენაზედ რომ გადავთარგმნოთ, ან და სრულიად უარ-მყოფელნი არიან სწორედ ერთა უფლებათა და ნამდვილ თანასწორობისა.

უპირველესი უფლება ერისა, საფუძველი ერთა თანასწორობისა საერთაშორისო სამართალის თვალთახედვით,—არის რომელიმე ფორმის საკუთარ პოლიტიკურ ორგანიზმის შექმნა. რასაკვირველია, თანამედროვე მომქმედი სახელმწიფოთა-შორისო სამართალი უარ-ჰყოფს ერის ასეთს უფლებასა, მაგრამ იგი იძულებულია ყოველთვის ეს უფლება აღიაროს და დააკანონოს, როდესაც ერი ფაქტიურად ანხორციელებს თავისი ენერგიით ამ უფლებასა. გარდა ამისა მიზანი, იდეალი საერთაშორისო სამართლისა სწორედ ერის ასეთის უფლების აღსარება უნდა იყოს, რადგანაც უამისოდ საერთაშორისო სამართალი თვით თავისივე სახელწოდებით წარმოადგენს შინაგან წინააღმდეგობას,--რამდენადაც იგი არ არის ნამდვილი საერთაშორისო სამართალი, არამედ „სახელმწიფოთა-შორისო“.

ამიტომაც გარკვეული უნდა ჰქონდეს ყოველ პატივისმცემელსა და აღმსარებელს საერთაშორისო სამართლისას და სოლიდარობისას, — თუ რომელი ფორმა პოლიტიკური ორგანიზაციისა მიაჩნია მას საჭიროდ და განსახორციელებლად განსაზღვრულ სხვა და სხვა ერთაგან შემდგარ სახელმწიფოში, ან იმ ერთა მომავალ საერთო ორგანიზაციაში, რომელიც დამყარებული უნდა იყოს მათ ნება-ყოფლობით კავშირზედ.

ამასთანავე, რასაკვირველია, უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს თვითეული ერის სპეციალურ მდგომარეობას, უფლებრივ-ისტორიულსა, ტერიტორიალურსა, კულტურულსა და სხვა გვარსა.

ყოველივე ეს აუცილებელია ერთა ერთობაზედ ლაპარაკის დროსა, თუ მართლაც ლაპარაკი სერიოზული და ნაყოფიერი უნდა იყოს,--საკომედიოთ კი მგონი არა სცალიანთ არც დიდსა და არც ეგრედ წოდებულ „პატარა ერებსა“.

ამ ელემენტარულ იდეათა ირგვლივ შეიძლება

შეიკრიბოს ერთა უფლების აღმასარებელთა ძალები. ეს ელემენტარული იდეა, —თუ უზენაესი საერთაშორისო სამართლისა და ზნეობისა არა, არსებულ უფლებათა პატივისცემისა მაინც, — აიძულებს ევროპას ხმა ამიღოს ფინლანდიის ეროვნულ უფლებათა დასაცველად. ამ ნიადაგზედ მტკიცედ მდგარ უცხო მეგობრებს ჩვენც, ქართველობაც, — ისტორიულად უფლება მოსილი ერი, — სიხარულითა და მადლობით მივიღებთ; ხოლო თუ ზემოხსენებული პრინციპები არ გვესმა, თუ საერთაშორისო სამართლის ნიადაგზედ კი არა, არამედ რაღაც სხვა ნიადაგზედ აღმოცენებულ პრინციპებით მოინდომებს ჩვენი ერთობა სხვა ერებთან,— ჩვენ ასეთი ერთობა არ გვესმის, — არ გვესმის იმიტომ რომ არ არსებობს არავითარი სხვა ნიადაგი ერთა ნამდვილი ერთობისა, — და ნურას უკაცრავად, თუ მათი ერთობისა ჩვენ ვერა გავიგეთრა.

მკაფიო, ნათელ, საერთაშორისო სამართლის ენაზედ გველაპარაკონ,— მაშინ გავიგებთ და მოვისურვებთ გაგებასაც. თუ არ ეხერხებათ ასეთის ენით ლაპარაკი,— როცა მოახერხონ, მაშინ გველაპარაკონ. თუ არა სურთ ასეთის ენით ლაპარაკი,— ნუ გველაპარაკებიან, ძალას არ ვატანთ.

ხოლო გაცნობა ურთი-ერთისა, პლატონიური სოლიდარობა, მოყვრობა, კულტურული ერთობა და სხვ. — ეს სასიამოვნოა, სასარგებლოცაა, მაგრამ საერთაშორისო სამართალთან, ერთა თანასწორობასთან და ერთობასთან მას არავითარი მსგავსება არა აქვს, — იგი ერთის მხრით ინტერესისა და გემოვნების საქმეცაა, და ვისაც სურს, ალბად არ დაიზარებს ხელი შეუწყოს ამ ფრიად დიდ საქმესა. მხოლოდ ერთა ერთობასა და თანასწორობაში ნურვინ აღრევს ასეთს „ერთობასა“ და მეგობრობასა. იგინი სულ სხვა და სხვა სფეროებში არიან ⸗ არავითარი საერთო არა აქვსთ რა ერთმანეთთან.

მაგრამ როდესაც უცხო მეგობარი გეწვევა და და თან მშვიდობისა და მეგობრობის თაიგული მოაქვს,—ზრდილობიანად, სიხარულით უნდა შეეგებო; არასოდეს არ უნდა დაგავიწყდეს ის ზრდილობიანი და საერთოშორისო ენა, რომელიც ერთად ერთია უცხოთა შორის სამეტყველოდ გაჩენილი. ⸗ ზრდილობა საერთაშორისო განწყობილებაში განა მარტო ერთ-მხრივია —უცხოსადმი მიმართული? არა, იგი ორ-მხრივია,—როგორც უცხოსადმი, ისე თავის თავისადმი მიმართული. ვალდებულება უცხოსადმი, — უფლება საკუთარი,—აი საზღვრები საერთაშორისო ყოფა-ქცევისა. პატივისცემა უცხოსი—პატივისცემა საკუთარი, — აი წესი საერთაშორისო ზრდილობისა. ვინც ამას არ ასრულებს,—მან არ იცის როგორ უნდა მოიქცეს საერთაშორისო საზოგადოებაში და არც უფლება აქვს ასეთს საზოგადოებაში შესვლისა და ლაპარაკისა. საერთაშორისო დამოკიდებულება და ლაპარაკი განა კერძო ბანკეტებზედ ქეიფია, როცა ყოველი არა—ფხიზელი რაც მოადგება ენაზედ, იმას წამოისვრის! განა იქ საკუთარი ოჯახია, სადაც ენას ბორკილი არ ადევს ⸗ „გულ-წრფელობას“ სასდგომი არა აქვს!

დიახ, ჩვენში აკლიათ ეს საერთაშორისო ზრდილობა, განსაკუთრებით არ იციან საერთოშორისო ენით ლაპარაკი, შეურაცხ-ყოფენ, უარ-ჰყოფენ საკუთარ უფლებათა, არა აქვსთ თავიანთ თავის პატივისცემა,—არ იციან, რომ რაც სახლში ითქმის, ამისი გარედ გატანა არ შეიძლება, რომ ეს დედაკაცური ენის ჭორტალია,—და კარგი იქნებოდა ჯერ საერთაშორის ენა ესწავლა ბევრს ჩვენგანს ⸗ მერე ელაპარაკა საერთაშორისო საზოგადოებაში, თორემ არა თუ ამ ძლიერ საფრთხილო ენითმოლაპარაკეთა, არამედ უბრალო უცხო ენით მოლაპარაკეთა სმენაც არ არის ხოლმე სასიამოვნო, როდესაც გალაღებულ ორატორს კარგად ვერ შეუთვისებია იგი და მაინც ძალას ატანს.

... ან იქნებ, როდესაც საკუთარ უფლებაზედ გაიგონებენ რასმეს ეს ჩვენი შეუდარებელი „ინტერნაციონალისტები“,—სწორედ ეს უფლება ჰგონიათ უარ-ყოფა ჩვენი სხვებთან ერთობისა?.. და მართლაც აკი გვაქვს „ერთობა“, აკი ისე ვართ „დაახლოვებულნი“, რომ ფრანგების თქმისა არ იყოს,—„ვღრიალებთ ერთად ყოფნის ტკივილითა“... სხვა რაღა გვინდა?...

ალაროდიელი.

შინაური მიმოხილვა.

—:—

წარმოიდგინეთ, მკითხველო, რომ თქვენ ბრძანდებით უკიდურესი მომხრე კერძო საკუთრებისა. ის თქვენ მიგაჩნიათ საზოგადოებრივ ცხოვრების საფუძველად და არავითარ დათმობას შესაძლებლად არ სცნობთ. ამ შემთხვევაშიაც კი კერძო საკუთრება მარტო უფლება არაა, ის მოვალეობაც არის. საკუთრებას პატრონობაც უნდა, თქვენ უნდა ცდილობდეთ თქვენ მიწა-წყალს უმეტესი ნაყოფი გამოაღებინოთ, დაამუშავოთ, შეჰქმნათ მეურნეობა, ისარგებლოთ ყოველივე გაუმჯობესებით, რაც კაცობრიობას დღემდის შეუქმნია. მაშინ თქვენ კულტურული ძალაც იქნებით, მაშინ სხვების ექსპლუატაციის უფლებასაც, რომელიც თქვენ საკუთრების ქონებამ მოგანიჭათ, რაოდენადმე მაინც გამამართლებელი საბუთი ექნება. სამწუხაროდ ჩვენში დღემდისაც ასეთ მოვლენას ვერ ვამჩნევთ, ან თუ ვამჩნევთ,

1499

ისეთ იშვიათ შემთხვევაში, რომ ყურადღების ღირსიც არ არის. პირიქით სულ წინააღმდეგს ვხედავთ. მემამულე თავის მამულს უყურებს, როგორც დროებით ბინას, რომლიდანაც, რაც შეიძლება, მალე უნდა გამოსწოვოს ყოველი ძალა, ააოხროს და აიკლოს მაზე მცხოვრები გლეხობა და ამ გზით მოპოებული სიმდიდრე გარყვნილებასა და ლოთობაში გაფლანგოს. დღეს ეს მოვლენა ისე აშკარაა ყველასათვის, რომ მასზე ლაპარაკიც არა ღირს. მაგრამ არ შეგვიძლია არ მივაქციოთ საზოგადოების ყურადღება ისეთ მემამულეებზე, რომელნიც ცოფიან მგლებივით დაერიენ გლეხებს, აღარ ზოგავენ ბრალიანს და უბრალოს და უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე მიიყვანეს ხალხი. ვისაც განსაკუთრებით ქართლის სოფლებში უვლია, ადვილად წააწყდებოდა აქა-იქ მოხეტიალე ჯგუფს. ცხენოსნები, იარაღში ჩასხმულნი, გრძელ მათრახით ხელში, ვილაც გადამთიელი ველურები—ესენი გახლავთ ინგუშები ან სხვა რომელიმე ნადირები, რომელთაც პატიოსანი მუშაობა ეჯავრებათ, ხოლო სისხლი, ადამიანის წვალება-კი სწყურიათ, ენატრებათ. წინ მათ ამაყად მიუძღვის ადგილობრივი თავადი, ქუდი განზე ჩაუკეცია და თითქოს საომრად ემზადება. მერე იცით ვის ეომება? ფარაჯაში გამოხვეულ, საბრალო, ყველასაგან დაბრიყვებულ გლეხს, რომლის ოფლით აღზრდილა და გახარებულა. გულშემზარავია ასეთი რაინდის თარეშობა და მტერსაც არ ვუსურვებთ, რომ თავისი თვალით იხილოს ამ თავზე ხელ-აღებულ, ჩვენი დაცემულობის შვილების თარეში... ამ მოთარეშე თავადებსაც ჰყავთ თავიანთი გმირები, თავიანთი ღერენლები, რომელთა საქციელი პირდაპირ საარაკო გახდა. ესენია ბ. გიორგი ამილახვარი და ცნობილი ფალავანი ბაყბაყ-მდევი ზუბიკო აბდუშელიშვილი. არა ერთხელ და ორჯელ დაწერილა ამ გმირების შესახებ ჩვენს გაზეთებში, მაგრამ განა წერით რას გავხდებით ასეთ პირებთან! ეხლაც „ჩვენ გზას“ მოლითიდან სწერენ: „თ. გიორგი ამილახვარმა ორი სოფლის—დეისის და ჩრდილის გლეხების შინაური საქონელი ეველა კანტელარიაზე მოარეკინა თავის ინგუშების რაზმს. თითეულ კომლს ახდევინებენ 28 მანეთს. უღელი კამეჩი 30 მ. იღებენ. საქონელს ისევ გლეხები უვლიან, მუშტარი ჯერ-ჯერობით არავინ სჩანს. გლეხების მდგომარეობა ძნელი ასაწერია“.

ვეებერთელა კორესპოდენციაა „დროებაში“ ქსნის ხეობიდან ბ. ზ. აბდუშელიშვილის შესახებ, სადაც მრავალი შემაძრწუნებელი ფაქტია მოყვანილი. ბოლოს კორესპონდენტი დასძენს: „ჩვენ მრავალი ფაქტი გვაქვს ხელთ და აქ მხოლოდ ორიოდე ნიმუში მოვიყვანეთ. ხალხის ვედრება მაშია, რომ იკისრონ ვინმემ მათი გამოსარჩლება“.

ვინ უნდა იკისროს მერმე ეს გამოსარჩლება? განა ჩვენში რომ ცოტაოდნად იყოს დაცული პიროვნება, შესაძლებელია კერძო პირები შეიარაღებულ ყაჩაღების ბრბოთი დათარეშობდენ და იკლებდენ ხალხს? ჩვენ მაინც გვსურს ერთი მხრით შეეხოთ ამ მოვლენას. როგორც ვიცით, თავადაზნაურობას აქვს თავისი ორგანიზაცია, რომელიც თავის მოვალეობად სთვლის დაიცვას ზნეობრიკი ღირსება თავის წოდებისა. ფრიად საყურადღებოა ვიცოდეთ, როგორ უყურებს ასეთს მოვლენას თავად-აზნაურობა და მიაჩნია მას წოდებისათვის სათაკილოდ თუ არა თავის წევრთა ასეთი მოქმედება, რომელიც ხალხს სულს უხუთავს, სასოწარკვეთილებაში აგდებს და ვინ იცის, რა ზომამდე მიიყვანს?!..

* * *

ჩვენი უბედურების ხანა მარტო აწმყოს განადგურებით კი არ დახასიათდება. ჩვენმა ორგულებმა საკმაოდ ისარგებლეს ჩვენი დღევანდელი სისუსტით და თანდათან სპობენ იმ ნაშთებს, სადაც ქართველთა ძველი კულტურის ძალა ცხადად სჩანს. რომ ნათლად დარწმუნდეთ ასეთ მოვლენაში, საკმარისია ინახულოთ მცხეთის სვეტი-ცხოველი, რომლის შესანიშნავი მხატვრობა ბოროტ ხელს თეთრი კირით შეუთხუპნია, ან და განახლებული ბოდბის მონასტერი, რომელშიაც ყველა წმინდანებს ცხვირი ზევით აუწევიათ. ძველ ნაშთებს ანგრევენ, იტაცებენ და ეს ასეც იქნება, სანამ ჩვენ თვითონ არ დავაფასებთ ჩვენ თავს და ღირსეულად არ შევუდგებით ჩვენი ვინაობის დაცვას. ამას წინედ შემთხვევა მოგვეცა დაგვეთვალიერებია ორი ძველი ნაშთი ჩვენი კულტურისა: მტკვრის მარჯვენა მხარეს, კლდეში გამოჭრილი ციხე და ეკლესია სახელად ქვა-ხვრელა და დიდებული კლდის ქალაქი უფლის-ციხე. პირველს დღეს სომხები უფლობენ, ხოლო საყურადღებო ერთი რამ იყო. როცა შევედით ეკლესიაში დასათვალიერებლად, იქ მყოფნი ცოტა არ იყოს, გაოცდნენ. გამოვჭკითხეთ, რა გაოცებთ თქო და პასუხი იყო: „აქ თუ ქართველი შემოვიდა, უსათუოდ მოკვდებაო“: უფლის-ციხე ხომ სულ უპატრონოდაა. გამვლელი და გამომვლელი ანგრევს, ჯღაბნის შესანიშნავ დარბაზებს, ყოველგან გავერანების და შელახვის კვალია. ციხის ეზოში დარჩენილა ერთი ეკლესია, რომელშიაც წელიწადში ერთხელ სწირავს სხვა სოფლიდან მოსული მღვდელი. სწორედ იმ დღეს შევხვდით ამ მღვდელს, რომელსაც არც ქართული სცოდნია და არც რუსული. აბა რა მომვლელი იქნება ის ჩვენი სიძველისა? მაინც ერთი ფრიად სამწუხარო ამბავი გავიგეთ მღ. ტაბატაძისაგან. ამ ქართულ ეკლესიის მნათედ არის ადგილობრივი სომეხი, რომელსაც შემოსავლის წყაროდ გადაუქცევია თავისი ხელობა. ეხლა ადგილობრივ სომხობას გადაუწყვეტია ამ ქართულ ეკლესიის შეკეთება, თუმცა იქ შესაკეთებელი არაფერია. მაგრამ საჭიროა, რაც შეიძლება, შესუსტდეს და წაიშალოს სიძველის ნიშნები. ამისათვის, როგორც

მღვდელმა გადმოგვცა, უნდა ამოყარონ გალავანში უხვად შენახული ძველი სასაფლაოები, საფლავის ქვები გადააგდონ და გაასწორონ არე-მარე. საქმეს უკვე შესდგომიან, კირი დამზადებულია. ამიტომაც საჭიროა ახლავე მიექცეს ამ საქმეს ყურადღება და შეაჩერონ განახლების მოტრფიალენი. საზოგადოდ კი აუცილებლივ საჭიროა, მთელ ციხეს პატრონი გაუჩნდეს, რომ შეაჩეროს დანგრევა - შერყვნა ამ დიდებულ ნაშთისა. ჩვენ მივაქცევთ ისტორიულ საზოგადოების ყურადღებას ამ გარემოებას და ვსთხოვთ ეს საქმე იკისროს და თუ ამას ვერ შესძლებს, ყოველ შემთხვევაში თავისი აზრი გამოსთქვას.

* * *

ყველამ კარგად ვიცით, თუ რა ჩვენი გადაგვარების ძლიერ იარაღად გარდაიქცა დღევანდელი სკოლა. კარგად ვხედავთ, თუ როგორ აბუჩად აგდებულია ქართული ენა. მით უფრო სასიამოვნოა, როცა ორიოდე სკოლას წააწყდებით, სადაც თითქო ეს მშობლიურის დამცირება, ეს თავისი დედის თავისივე ფეხით თელვა არაა გაბატონებული. მცხეთის ქალთა მონასტერში კარგა ხანია თავი შეაფარა პატარა სკოლამ. ნესტიანი ბინა, მუდმივი გაჭირვება და უსახსრობა არ აშინებს მის ხელმძღვანელთ. დაუღალავად ეწევიან მძიმე უღელს და ნაყოფსაც იხვეჭენ. ბავშვები მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებენ, შედარებით წარჩინებულად იციან სამშობლო ენა, მათი სიმღერა-გალობა გულგატეხილ მამულიშვილსაც კი გაამხნევებს და მომავლის იმედს გაუღვიძებს.

მეორე სკოლა, იმავე საზოგადოებისაგან თითქმის უყურადღებოდ დატოვებული, არის ქალთა სამკერვალო სკოლა. ოცდა ერთს აპრილს ამ სკოლამ სალიტერატურო საღამო გამართა თავის უმთავრეს ხელმძღვანელის ეკატერინე გაბაშვილის ორმოცი წლის ლიტერატურულ მოღვაწეობის პატივსაცემლად. ჩინებულნი წამკითხველნი, მშვენიერი მოთამაშენი სცენაზე და მომღერალნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. აქაც ვგრძნობდით, რომ აქ ამ ვიწრო კედლებში, დაბალ ჭერ ქვეშ შეუმჩნევლად კეთდება ის დიდებული კულტურული საქმე, ურომლისოდაც არც ერთ ერს მომავალი არ აქვს.

გაზაფხულის ღამე.

—:—

ღრმა ტანჯვათაგან დაქანცული, ძალ მილეული,
მეგობართაგან განკიცხული, მწირი, ეული...
ნაღვლით მოცული, უიმედო და დაღვრემილი
უსიხარულო, სევდათაგან გულ დაფლეთილი
ვიდექ სარკმელთან, გავყურებდი ზურმუხტ მინდორ, —
ველს,
ყვავილთ შემკულს ოცნებათა სადგურ—სამყოფელს...
ცის კამარაზედ ვარსკვლავებსა მთვარე აპობდა;
ოქროს სხივებით გაფურჩქნულსა ტყესა ამკობდა.
იქ იადონი საამურად ჭანგებს უსტვენდა;
და ნარნარ ხმასა დადუმებულს მიდამოს ჰფენდა!
ვარდი ფურჩქვნილი ღამის ნიავს ეკონებოდა,
ცით—გრილი ცვრები გაშლილს ფურცლებს ეპკურებოდა...
ფრიალო კლდეზედ მოღელავდა მთისა ჩანჩქერი;
და ბანს აძლევდა ნაკადულის ცელქი ჩუხჩუხი.
ნაძვი მდუმარედ დაჰყურებდა თავის აჩრდილსა;
და ყურს უგდებდა ბუნებისა სიმღერას ტკბილსა!
გრილმა ნიავმა მკერდის წულულზედ გადამიარა,
თან წარიტაცა კაეშანი, გულის იარა,
ფირუზ ცის თაღმა სიხარულის წამი მაპკურა;
სულის სიღრმეში შვების სხივმა დაისადგურა...
მოვავლე თვალი ზურმუხტ მთა—ველს დაფიქრებულმა;
„ქება გაზაფხულს“! დავიძახევი აღტაცებულმა.

ს. ფაშალიშვილი.

შ ე თ ქ მ უ ლ ო ბ ა.

დრამა 4 მოქმედებად.

გადმოკეთებული ფრანსუა კოპპეს „სევერო ტორელიდან“

მოქმედნი პირნი:

საზარ-ხანი. — **გიორგი,**
ალაუსუფ. — **ელიზბარ,**
დაუდ-ბეგ. — **გრიგოლ,**
იბნ-ჰაი. — **ლევან,**
დავით მაჩაბელი. — **ფიდო,**
სვიმონ მაჩაბელი, დავითის შვილი — **სოლომონ.**
მამუკა, } შეთქმულები
მარიამ, დავითის მეუღლე. — **ბერი,**
ელა, საზარხანის საყვარელი.

ჯალათი, ამალა, სპარსელი ჯარის კაცები, ქართველი შეთქმულნი, გლეხები და ხალხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება პირველი.

ქალაქის ნაპირი ქუჩა. (მოედანი) კედლები ვაზებით არის შეფოთლილი. მზე ახლად ჩადის.

გამოსვლა I.

ელიზბარი, გიორგი, გრიგოლი და სოლომონი.

ელიზბარი. დიახ, მას შემდეგ ოცი წელია!..
მთლად ააოხრეს ჩვენი სამშობლო!

გრიგოლ. ჩვენ კი მონურად ქედს ვუხრით
მტარვალს!

ხალხი იტანჯვის მძიმე უღელ ქვეშ
და კვლავ იდვრება უმანკო სისხლი!
ოცი წლის წინად ამ მთის გადაღმა
მამულიშვილნი ურცხვად აწამეს.
თვით ხაზარ-ხანი იქ ბრძანდებოდა!
ამ საზარელსა სანახაობას
ხალხი უცქერდა აღელვებული
და ჯალათი კი, ნაჯახით ხელში,
ელოდებოდა უფროსთ ბრძანებას,
რომ ერთის დაკვრით დაეხშო სხივი
მამულის ერთგულ მებრძოლთათვისა!
სვიმონის მამაც—მოხუცებული
სხვებთან სიკვდილსა ელოდებოდა!
აჭა, წარუდგა ჯალათს ჭაბუკი
და შეუბოვრად მუხლთ მოეკარა.
ჯალათმა ნაჯახს მაღლა ასწია...
და წამსვე თავი ძირს გადმოგორდა!
იმას სხვა მოჭეკა და სხვას კიდევ სხვა...
მაგრამ როს მიდგა ჯერი დავითზე,
მსწრაფულ ხანმა მაღლა ასწია ხელი,—
ადბად მოსწყინდა მტარვალს სისხლის სმა—
და დაიძახა — ეპატიოსო!

სოლომონ. ეგ რას ჭნიშნავდა!

გრიგოლ. იმის გულის თქმას ვინ მიჭხვდებოდა?
ხალხი ჭდელავდა და ამ სანახავს
ზიზღით უცქერდა. აქეთ--იქიდან
უკმაყოფილო დრტვინვაც ისმოდა....

ელიზბარ. მოხუცი ამ დროს რასა ფიქრობდა?

გრიგოლ. იგი ადშფოთდა ასეთ მოვლენით,
მაგრამ როს ხალხის მოესმა გრგვინვა,
აღტაცებული წამოდგა ზეზე,
ხანსა მიაპყრო მრისხანედ თვალი
და უთხრა: „მტირე მოწყალებაზე
ვერ გაგტემ ბასუხს წყალობითვეო!
ფეხ ქვეშ გასთელე ჩემი უფლება
და ბრძოლაც ჩვენში გათავებულა,
მაგრამ იცოდე, თუ ოდესად შემძლე
ვაჟიშვილს მომცემს—გადაგიხდისო!
მტარვალო, მის წინ შიშით ძრწოდეო!“

გიორგი. ვაშა მოხუცის გაბედულობას!

სოლომონ: და მერე ხანმა რა უპასუხა?

გრიგოლ. მან აპატიეა და დაიშალნენ!
მაგრამ შემდეგ კი მას შეწუხლება,
ვგონებ, მოჭბეზრდა და სუსხს უმატა!
მხოლოდ დავითი მოსწყდა მშვიდობას!
მან ჩაიკეტა სასახლის კარი
და გარედ ადარ გამოდიოდა!
იმ წელს მართლაც და დავითის ცოლსა
ეეოდა ვაჟი! და იგი არის
ჩვენი სვიმონი. დაბადებითვე
თან დაჭყოლია მამულისადმი
სიყვარული და თავის გაწირვა.
სწამს შეურეეველად, რომ ედირსება
ეს ტურფა მხარე თავისუფლებას
და იმედიც აქვს, რომ ადასრულებს
მოხუც მამისა წმინდა ადთქმასა
და ხალხის მჩაგვრელს ბოლოს მოუღებს!
და ჩვენც, ერთგულნო მამულიშვილნო,
თუ რომ მოგელით დიად განთიადს
და გვსურს სამშობლო ვიხსნათ მტრისაგან,
მაშინ ყოველ წუთს მზად უნდა ვიყვნეთ
და წინამძღოლიც ამოვირჩიოთ!

ელიზბარ. ერთხმად სიმონი ამოვირჩიოთ,
ის ყველაფერში გამოცდილია!

შორს კივილ-წივილი ისმის. შემოდის ჯარის უფროსი. ხარკის ამკრებთ რავდენიმე გლეხი დაუტყვევებიათ და უწყალოდა სცემდენ.

გამოსვლა II.

(საყვირის ხმა. იგინივე, ჯარის უფროსი, დატყვევებული გლეხები. უკან ხალხი მოსდევს).

გიორგი. უბედურება და თვითნებობა!

გრიგოლ. აწიოკეს საბრალო ხალხი!

ელიზბარ. რა უნდათ მათგან, ან საით მიჭყავთ?
ოჭ საზიზღრობავ და დამცირებავ!

ჯარის უფროსი. ეველას ტიხეში უკარით თავი!
ურჩნი არიან... საეჭვო ბირნი!
სოფელში გლეხებს აქეზებენ და
ისინიც ხარჯსა ადარ იხდიან!

ერთი გლეხი. ღვთის გულისათვის, მთლად ნუ
გაგვწირავთ,
ჩვენი ცოლშვილი შეიბრალეთ!

მეორე გლეხი. ვეღარ შეეძლით ხარჯის
გადახდა...
რაც კი გვებადა ყველა წაიღეთ!...
სახლი დაგვიწვით, სარჩოც შიგ მოჭეკა...
რით გამოვეებოთ ჩვენი ცოლშვილი?
შეგვიბრალეთ!

მესამე გლეხი. თქვე უღმერთონო, რას
მემართლებით...
ოჯახი რაზედ ამიწიოკეთ?
ურცხვად აჭხადეთ ცოლ-შვილს ნამუსი..
თქვენს მოხობაში ამოგვხვდა სული...
და ადარ ძალმიძს ხარჯის გადახდა...

ჯარის უფროსი. ხმა ჩაიმინდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე გლეხი. შენი ჭირიმე დიდო ბატონო!
გთხოვ, დამაცადოთ ერთი დღე მაინც...
შედით გლეხკაცის გაჭირვებაში!
ოთხი შვილი მყავს, ვინღა არჩინოს?
(ცემა-ტყეპით გაჰყავთ. ჯარის უფროსი და ხარკის ამკრები გადიან)

გიორგი. ჰხედავთ ჩვენს მოძმეთ, რა რიგ სტანჯავენ,
აღარ ინდობენ საბრალო გლეხ-კაცს!
უწყალო ხელით სახლკარს უწვავენ
და თან ხარჯს სთხოვენ: გადაიხადეთო!
სისხლით მორწყულა ტურფა სამშობლო
და ირგვლივ მხოლოდ კვნესა გაისმის!
მშრომელი ხალხი კვლავ იტანჯება!
განთიადის სხივს და ბედის ვარსკვლავს
შავი ღრუბლები კვლავადა ჰბურავს!
დიდი ხანია, რაც სიმთა ჟღერა
შესწყდა და აღარ გვიტკბობს სმენასა!
გაჰქრა ოცნება, გამოვეთხოვეთ
ჩვენს დამატკბობელს შვება-ლხენასა!
აღმოსავლეთით გრიგალი გვბერავს,
მთა-ბარი აფრქვევს ცრემლს მდუღარესა;
ვხედავ სიკვდილსა, მაღლიდან როგორ
თავს დასტრიალებს მშობელ მხარესა!...
იქ ცეცხლის ალი თვით ცასა სწვდება
აქ სახრჩობელა აღუმართიათ!
ხალხი იტანჯვის და მხოლოდ მტარვალთ
დიდი მეჯლისი გაუმართიათ!
ჰხარობს მტარვალი გამარჯვებული,
სისხლის სმით იკლავს აღშფოთებასა;
და რომ მონობა დაგვისადგურა,
მიტომ ეძლევა აღტაცებასა!..
მამულიშვილნო! ნუღარ ვაყოვნებთ
დროა, შევუდგეთ საქმესა დიადს;
თორემ დაემხო ერი ქართველი,
ვეღარ ეღირსა ტურფა განთიადს!..

სოლომონ. დროა დაიმსხვრეს ხალხთა ბორკილი
და აფრიალდეს დროშა სიმართლის;
დაე, ჩვენს ხმაზედ გამოიღვიძონ
მამულისათვის თავდადებულთა
და დაიძახონ: „სიკვდილი მტერთა!“

გრიგოლ. სამშობლო უნდა განთავისუფლდეს!...

ელიზბარ. აბა წავიდეთ! იქით შეთქმულნი
გველოდებიან! (გადიან)

გამოსვლა III.

(შემოდის დავითი. ღრმად მოხუცებული, თავის შვილ სიმონზე დაყრდნობილია)

დ ვით. აღარას მარგებს მე გამხნევება!.
მოხუცი გული მწარედ დნდება,
როს ვუმზერ მამულს აოხრებულსა,
დედა დასტირის ერთგულსა შვილსა.....
მამა დაეძებს ქალს ნამუს ახდილს...
ძმა ძმასა ჰხედავს ხევში აჩეხილს...
მაშვრალთა კერა დანგრეულია...
სამგლოვიარო ხმა სწვდება ზეცას!—
შვილო დავბრუნდეთ... მეყოფა გავლა!...

სვიმონი. უიმედობას რისთვის ეძლევი,
მაგით მიკარგავ თვით მე ხალისსა!
სევდა ნაღველი, განმარტოება,
კარის ჩაკეტვა, გლოვა და ზარი,
არასდროს არგებს წამხდარ საქმესა!

დავითი. იმედ დაკარგულს რა დამრჩენია,
თუ არა ოხვრა და ცრემლთა ფრქვევა?

სვიმონ. გამხნევდი მამავ! იმედს ნუ ჰკარგავ,
მუდა არ არის ცა მოღრუბლული!

დავით. სიტყვა-პასუხში მუდამ გითმობდი,
მაგრამ მერწმუნე, მარტოკა ყოფნით
განმარტოებულს ჩემს სასახლეში,
თავს კარგადა ვგრძნობ და წუთიერად
ვივიწყებ კიდეც, რომ ჩვენ მამული
ულვთო მტრისაგან აგვოხრებიას!
ოჰ ჯოჯოხეთო! აგვიოხრეს და
ვერ კი ვასრულებ მოვალეობას!
რას ვხედავ ეხლა?—ხალხთ სიღარიბეს
და მხოლოდ მოთქმას, კვნესა—ვაებას!
ჩვენთა დიდებულთ ტურფა სახლკარი
დანგრეულია, ქვა-ქვას არ აძევს
და მოედანზე ხანის ბრძანებით
ლომთა ქანდაკი სალოცვად დასდგეს!
წმინდა ტაძარი დანგრეულია!
ზარის გუგუნი აღარ გაისმის!
ენას გვართმევენ... სულს გვიხუთავენ
და მამულიშვილთ ჯვარზე აკრავენ!
ახ, რად შევესწარ ამ ბედკრულ დღეებს!...
ნუ თუ ქართველნი ამას ველოდით?—
ამ მთის გადაღმა ოცი წლის წინად
ხანმა მრისხანემ ურცხვად გვაწამა!
ოდეს ის წუთნი მაგონდებიან,
მოხუცსა გულსა ჰქეჯნის სვინდისი
და ის ადგილი კვლავ მეჩვენება
ჩემთა მეგობართ სისხლით შესვრილი!
ოჰ მოგონებავ!—მათ თავი დასდვეს,
მე კი ცოცხალი დავიარები.

სვიმონ. დამშვიდდი მამავ! სულ ყველამ იცის,
ვით ასრულებდი მოვალეობას!
დღესაც პატივს გცემს ხალხი ტანჯული!
როს წამებულნი იმ გოლგოთაზე
სამშობლოსათვის თავსა სწირავდნენ,
შენ აღთქმა დასდე უფლის წინაშე
თუ რომ ვაჟიშვილს მოგანიჭებდა
გადაუხდიდა სამაგიეროს!
და მართლაც, იმ წელს ყოვლად ძლიერმა
აკურთხა თქვენი ცოლქმრის კავშირი
და გამომგზავნა იმ დიად აღთქმის
აღსასრულებლად და მეც მზადა ვარ!
გვერდში მიდგანან მე მეგობრები,

მრავალი ხალხიც ჩვენ თანაგვიგრძნობს
და, ვგონებ, მალე ეს მოდრუბლული
უკანასკნელად დაიგრიალებს,
მთის ნიაღვარი აღქაფებული
წაჰლეკავს მინდვრის სისხლის მსმელ ყორნებს!
მრავალტანჯული ხალხი აღსდგება
და კვლავ მეტეხზე თავისუფლების
ქართველთა დროშა აფრიალდება!

დავით. ოჰ, რომ იცოდე, რა რიგ მიხარის,
როს სიტყვა მესმის თავისუფალი;
უკან დავბრუნდეთ! არ მსურს ვუცქირო
ხალხთ სივაგლახეს და ათხრებას!
აწ ცალი ფეხი სამარეს მიდგა
და უკანასკნელ სიცოცხლის დღეებს
დავლევ ტანჯვაში ჩემს ერთგულ ცოლთან!
და თუ მედირსა გარედ გამოსვლა,
დაე, ეს იყოს იმ ნეტარ დღეს,
როს ჩვენი ერი დაამსხვრევს ბორკილს!
და შენც მახარებ მამულის დახსნას!
ჰე, მზის სხივებო, უკანასკნელსა
სალამს მოგიძღვნი...—აბა წავიდეთ!

გამოსვლა IV.

სვიმონი გააცილებს და ისევ მალე დაბრუნდება. შორიდან მუსიკის ხმა მოისმის, რომელიც თანდათან ახლოვდება. შემოდიან ელიზბარი, გრიგოლი, გიორგი, ლევან, ია, მამუკა დი სხვები. შემდეგ სვიმონი. აქეთ იქიდან ხალხი მოაწყდება.

ელიზბარ. ხანი ქართველებს ურცხვად დაგვცინის!

გრიგოლ. რა ამბავია?

ელიზბარ. სადამოობით ეგ ქალაქ გარედ
გაივლის ხოლმე სუფთას ჰაერზე...
ამ გზით მოდიან, ჩვენც დაგვინახავს
(გარედან ხმები ისმის: გზა, გზა!)
მას თავდასხმისა დიდი შიში აქვს,
მიტომ თან მოსდევს დიდი ამალა,
რომ დაიფარონ ქვეყნის მტარვალი!
თურმე მზარეულს აღარ ენდობა,
მუდამ ექიმსა საჭმელს აშინჯებს
და თუ დარწმუნდა, რომ არას ავნებს
მხოლოდ შეჭმასა მაშინღა ჰბედავს!

გრიგოლ. ის მშვენიერი ვინ უზის გვერდით?

ელიზბარ. საგანი მისი ვნებათ—ღელვისა!
ქართველი ქალი!—სახელად ელა!
ერთ თავადის შვილს ძალით მოსტაცა!

ფიდო. (შეშინებული) ხანსა ვუფრთხილდეთ, ჩვენ
დაგვაცქერდა...

გზირი. ხალხო! გიცხადებთ ხანის ბრძანებას
და ვინც თქვენგანი არ აღასრულებს
სასტიკი რისხვა თავს დაატყდება.
როდესაც ხანმა გამოიაროს
ყველამ ქუდები მოიხადეთ
და მოწიწებით მუხლთ მოიყარეთ!

(შემოდიან ჯარის კაცნი და ხალხს აქეთ იქით ე[illegible]-კებიან. დიდი პროცესია. როდესაც ხანი გამოჩნ-დება, ყველანი ქუდებს მოიხდიან და მუხლთ მოი-დრეკენ, გარდა შეთქმულებისა. ხანი რა დაინახავს, რომ სალამს არ მისცემენ, განრისხებული დაიძახებს.)

ხანი. ვინ არ მცემს პატივს?

ალა უსუფ. სულ ახალგაზრდა თავადიშვილნი!

ხანი. ყველა დასაჯეთ!

ელა. (ამ დროს სულ სვიმონს უცქერდა და რა გაიგებს ხანის უკანასკნელსიტყვებს, შემკრთალი დაიძახებს).
არა! ვერ დასჯით!—ღმერთო, ის არის!..
რა რიგ ვნატრობდი მის შეხვედრასა.
შეგხვდი და მესმის: დასაჯეთო!

ხანი. ამაყსა ლერწამს ქარი მოსჩეხავს...
მეც დღეს მტერი ვარ ამაყ სულისა!
უნდა ყოველი შიშით თრთოდეს!

ელა. გთხოვ აპატივო: მათ არ იცოდნენ!

ხანი. არ შეიძლება! ჯერ არ გამშრალა
ძარღვებში სისხლი ამოთხებისა!
კიდევ ურჩობენ!—სასჯელი ყველას!

ელა. მე კი გულით მსურს, მათ აპატიო!
(სვიმონს უცქერის)
მაშ რად დამპირდი ყველა სურვილებს
აგისრულებო? გთხოვ აპატიო!

ხანი. ეგ ჩემო კარგო, არ შეიძლება:
მე, მათ ბრძანებელს, პატივი არ მცეს,—
სჩანს კიდევ გულში ბოროტი უძევთ!
ძლიერი არის დიდი სპარსეთი..
ძლევა მოსილი აწ ლომი ცოცხლობს
და ვაი მეფეს ტახტის ორგულთ!
მათ არ ასცდებათ სიკვდილით დასჯა!

სვიმონ.
(ხმალზე ხელს მოივლებს, მაგრამ სხვები შეაჩერებენ)
მაშ ჩვენ ღირსებას ხმალი დაიცავს!

ელა. აგერ, ვერ ჰხედავ, იგი ჭაბუკი
რა მედიდურად გვიცქერის ჩვენსა?
და ეგ ჭაბუკი უნდა დაჰსაჯო
მხოლოდ მიტომ, რომ არ დაიჩოქა?
გთხოვ აპატიო... ეს არ იცოდნენ!

ხანი. რად გამოდიხარ შენ მათ მოსარჩლედ?
ნურც კი მიაქცევ ყურადღებასა!

ელა. სულ მცირე თხოვნას არც კი მისრულებ!
აღარ გიყვარვარ! დავბრუნდეთ შინა....
გასეირნების აღარ მაქვს გული!

ხანი. ელა, დამშვიდდი? ნუ მირისხდები!
გსურს ვაპატიო? — მეც ავასრულებ!
ეს კი იცოდნენ, რომ დღეის შემდეგ
მაგ დანაშაულს სასჯელი მოსდევს,
თუ ეს ურჩობა კვლავ განმეორდა!..
მხოლოდ ჩასწერეთ მათი გვარები!—
ფრთხილად თავხედნო! ძრწოდეთ ჩემ წინა,
ძალა დაატათ მოთმინებასა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორემ ჩემს რისხვას თავზედ დაგატეხთ
და გაწყევლინებთ გაჩენის დღესა!
აბა, წავიდეთ, ჩემო ლამაზო!
დავსტკბეთ ბუნების სიმშვენიერით!

გამოსვლა V.

(იგივენი, ხნის და ამალის გარდა. შემდეგ ბერი ფილადელფოსი.)

გიორგი. (სვიმონს)
მომეცი ხელი, ძმავ, მოგილოცო!
ელიზბარ. ვერა, ვერ ჩაჰკლავთ ჩვენ სიამაყეს!
ქართველისა სული მაინცა სცოცხლობს!
გიორგი. ნამდვილი უთქვამთ ჩვენ წინაპართა:
მუმლი მუხასაო, გარს ეხვევოდაო,
მაგრამ მუხა მაინც ცოცხლობდაო!
ჩვენ თავზედ ბევრჯელ გადაუვლია
შავს დრუბელთ გუნდსა, ცეცხლის მფრქვეველსა,
მაგრამ ამაყსა და შეუპოვარს
არ გასტეხია გული ქართველსა!
(შემოდის ბერი ფილადელფოსი)
ბერი. მშვიდობა თქვენდა მამულიშვილნო!
ყველანი. (სიხარულით)
ოჰ, ფილადელფოს?!
ბერი. უფალი იყოს თქვენი შემწე!
გრიგოლ. რა ამბავია როდის დაჰბრუნდი?
ელიზბარ. ქართლი რას ფიქრობს? რა ყოფაშია?
გიორგი. აჯანყებისთვის ხომ მზად არიან?
ფილადელფოს. ღვთისა შეწევნით—კარგაა საქმე!
ჯერ დამაცალეთ ყველა დავკოცნო
და დაწვრილებით შემდეგ მოგითხრობთ!
მაგრამ სვიმონი მთლად გამოცვლილა.
მისი თვალები რისხვით ბრწყინავენ
და, ვგონებ, მალე მტერს თავზარს დასცემს!
იდიდოს მარად სახელი ღვთისა!
მისი მადლითა ყველაფერს შევძლებთ!
შიკრიკად ქართლში როს გავემგზავრე,
გზა-გზა ნაღველი არ მასვენებდა
და ვფიქრობდი თუ ჩვენ წინამძღოლად
ვინ აგვერჩია დიად ბრძოლისათვის,
მაგრამ, რა ვხედავ სული ჰნეტარებს
და იდუმალი ხმა ჩამჩურჩულებს:
აი, ეს არის ღვთით არჩეული,
წინ განუძღვება ხალხს მრავალ ტანჯულს
და დაგვიბრუნებს თავისუფლებას!....
ყველანი. ჩვენ უკვე იგი ამოვირჩიეთ
შეთქმულთ წინამძღვრად!
სვიმონ. მეც მიკისრნია წინამძღოლობა,
თუმც დიდს საქმესა მაგით მავალებთ!
და დაე, ბრძოლაც ძმანო, გაჩაღდეს!
დაე სამშობლოს ლაჟვრად ცაზედა
უკანასკნელმა მეხმა იგრგვინოს
და ნიაღვარმა მაღალ მთებისამ
ბარად წალეკოს უწმინდურობა,
რომ აღარ ვნახოთ ჩვენთა მოძმეთა
მწარე სიკვდილი აწიოკება!
შემოვიერთოთ ჩვენი ერთგულნი,
ხალხსა ვაუწყოთ დიადი წამი
და იმედია რომ აჯანყება
ჩვენს გამარჯვებით დაგვირგვინდება!
განვდევნოთ ჩვენგან შიში და ძრწოლა
და მოთმინებით იმ წუთს ველოდეთ,
როს ბაირაღსა ჩვენსას აღვმართავთ
და მაშვრალ ხილხში გრგვინვად გაისმის;
სიკვდილი ანუ თავისუფლება!
ელიზბარ. მაგრამ ანდრევა რა დღეს დავნიშნოთ?
აი ეს არის, მამულიშვილნო,
უპირველესი ჩვენი საკითხი!
მე ამას ვარჩევ ამ დღეებშივე,
შემოდგომობით ხალხსა სცალიან!
ამ დროისათვის თვითეულ შეთქმელს
მზად უნდა ჰყავდეს ჯარი მებრძოლი.
დავიწყოთ კიდეც არეულობა!
ან და სხვა ხერხი უნდა ვიღონოთ.
ბერი. ელიზბარისა მე თანახმა ვარ.
ქართლი მზად არი და ჩვენსკენ კიდეც
გამოემგზავრნენ, მხოლოდ პირდაპირ
აქ არ შემოვლენ. ესტატე,—მათი
ჯარის უფროსი—დაბურულ ტყეში
დააბანაკებს და როს ვაცნობებთ
ჩვენ ბრძოლის დროსა, ოთხი ათასი
ქართველი მტერსა თავს დაესხმება.
მათ გადმოლახეს მთები, მინდვრები
და ჯერ შორიდან მოკვესმის მხოლოდ
თავისუფლების ნიავის ქროლა!..
გიორგი. ქართლი მზად არის!
ელიზბარ. კახეთიდანაც რევაზი გვითვლის:
მეც მზადა ვარო!
გრიგოლ. ჩუმად!.. ჯამუში გვიახლოვდება.
გიორგი ჩემი მახვილი მას პასუხს გასცემს!
შესდექ! ვინა ხარ?

გამოსვლა VI.

იგინივე და ელა.

ელა. ეს მე ვარ—ელა.
ხანი გაერთო ნადირობასა
და მე კი ცხენით აქ გამოვქუსლე
რომ კვლავ მენახა იგი ჭაბუკი... (უცბად შესდგება)
მაგრამ თქვენ ყველამ რად მოიწყინეთ?
ვგონებ საქმე გაქვთ—მე შეგაფერხეთ!
ელიზბარ. მაგას რად ბრძანებთ?
თქვენ დაგვიხსენით განსაცდელისგან
—ყველანი უღრმეს მადლობას გწირავთ.
ელა. მე არა მჯერა, რომ ეგ მადლობა
გულწრფელი იყოს! მე ხომ ხანისა
საყვარელი ვარ! დიახ! რომელმაც
თქვენი მამული მთლად აიოხრა!
რად არ მეპყრობით შურით და მტრობით?
თქვენი სამშობლო ხომ ჩემიც არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ. თქვენ არას გერჩით, მაგრამ ხანსა კი
მზად ვართ მივუძღვნათ შურისძიება.

ელიზბარ. თქვენს კეთილს გულსა მარად პატივს
გცემთ!
და მით უფრო რომ თქვენ თვით მსხვერპლი ხართ!

ელა. დიდათა გმადლობთ მაგ სიტყვებისთვის,
მაგრამ თქვენ ჯგუფში ერთი ჭაბუკი
გაფითრებული მე პირს მარიდებს.
მე მსურდა მისი სიტყვა გამეგო,
მიტომ დავბრუნდი თქვენს სანახავად.—
მორცხვო ჭაბუკო, რად ხარ მდუმარე?
მითხარი რამე რომ ბედნიერად
ჩავსთვალო თავი და ვიამაყო,
რომ მშვენიერი დავბადებულვარ!

სვიმონ. სიყვარული თუ გრძნობათ დატკბობა
სრულიად გულსა არ განუცდია,
მაგრამ დღეს თქვენმა კეთილმა ქცევამ
ძლიერ ბევრი რამ გულს აგრძნობინა!
„ვაჰ რა ძნელია ვარდი დამცირდეს
და უწყალობით კოკორი დაიჭკნდეს!“—
მაგრამ დღეს კმარა, არ გავაგრძელებ!...—
თქვენ დაგვიხსენით განსაცდელისგან
და დიდად გმადლობთ მოწყალებისთვის!..

ელა. ციური ხმები! მაგრამ ჩემს სახეს
მან ერთხელაც კი არ შემოჰხედა!
მადლობას მწირავთ!...—ახ, რომ შემეძლოს
უფრო დიადი მე სამსახური,
ვფიცავ სიცოცხლეს არ დავზოგავდი!
მშვიდობით ერმანო! არა, არა მსურს
სიტყვებით თავი მე შეგაწყინოთ!... (ელა გადის)

გამოსვლა VII

იგინივე. ელას გარდა

ელიზბარ. რა უცნაურად ლაპარაკობდა!

გრიგოლ ტრფობის ისარი გულს მოჰხვედრია!
ცით მოვლენილი ანგელოზია!

ელიზბარ. (სვიმონს) შენთანა ჰსურდა მას ლაპარაკი

სვიმონ. თავი მანებეთ! აწ დრო არ არის
ქალის მშვენებამ ჩვენ გაგვიტაცოს!
წინ გვიდევს დიდი მოვალეობა!
უკვე იწყობა ბრძოლა მედგარი
და ყველამ ფიცი უნდა მივიღოთ,
რომ სამშობლოსთვის თავსა გავწირავთ!

ყველანი. უნდა შევფიცოთ!

გიორგი. თუ გვსურს რომ ხალხი ავაფრთოვანოთ
საჭიროდა ვრაცხ მტარვლისა სისხლში
ამოვლებული ხმალი ვუჩვენოთ.
საგმირო საქმე ხალხს განამხნევებს
და დიდ ბრძოლისთვის თვის თავსაც დასდებს!
ეს არის ჩვენი მოვალეობა.
არ უნდა შევდრკეთ თუნდაც რომ ჯარი,
მრავალი ჰყავდეს გარშემორტყმული!
ამით დავიწყოთ არეულობა!
აი, ეს იყოს შეთქმულთ ნიშანი
მაშინ ყოველმა ხმალს ხელი სტაცოს
მეტეხზედ დროშა ავაფრიალოთ
და გამარჯვება ერსა ვახაროთ!

ელიზბარ მე თანახმა ვარ!

ყველანი. თანახმანი ვართ აგრეთვე ჩვენცა!

სვიმონი. (თავისთვის) ტანჯული კუთხევ აწ
გათენდება,
თავისუფლების სიო დაჰბერავს
და საუკუნით ხალხი ჩაგრული
სიმართლის დროშას აათრიალებს!..

სოლომონ. ჩვენგნით რომელი წარსდგეს პირველი
და მტარვლის სისხლში შეღებოს ხმალი?

გრიგოლი ჩემს წინაპართა ყველა იცნობდა,
დღესაც ჩემს სახელს პატივსა სცემენ
მისი მომანდეთ მე აღსრულება!

ელიზბარ. მე უფროსი ვარ ყველა თქვენზედა!

გიორგი. მე აღვძარ კითხვა მაგის შესახებ,
მაშ აღსრულებაც, გთხოვთ, მე მომანდოთ!

სვიმონი. თქვენ ამირჩიეთ მე წინამძღოლად,
მაშ მისი მოკვლაც ჩემი საქმეა.
და თუ ამ წმინდა შურის ძიებას
ვერ შევასრულებ,—ისე მოვკვდები,—
დაე ეს აღთქმა საფლავში ჩამყვეს
ჩემდა საქენჯნად და სატანჯველად!
მაგრამ თუნდ მოვკვდე და დავიმარხო,
მსურს წინად ვიყო დარწმუნებული,
რომ მამულისა ამაოხრებელს
თქვენ მაინც არის შურსა მიაგებთ!
აბა, ერთმანეთს მტკიცედ შევფიცოთ,
რომ ამ აღთქმისთვის თავს დასდებს ყველა!

ყველანი. დე მაგრე იყოს! აბა შევფიცოთ!
(ხლმებს იშიშვლებენ, მუხლთ მოიყრიან და ბერი
აფიცებს)

ბერი. (ამბობს სხვები იმეორებენ)
ვფიცავთ სამშობლოს კეთილ-დღეობას,
ვფიცავთ სიმართლეს თავისუფლებას,
რომ თავს გავწირავთ მამულისათვის!
დე მომავალი იყოს მსაჯული,
ჩვენი სახელი ზიზღით ახსენონ,
თუ სამშობლოსთვის თავი არ დავდეთ!
ამინ!

ფ ა რ დ ა.

ს. მანმიაშვილი

ჰაერის დაპყრობა.

—:—

ჰაერონავტიკა (ჰაერში ცურვა): **ჰაეროსტატები, დირიჟაბლები; მათი ღირსებანი და ნაკლულოვანებანი, მათი მნიშვნელობა.—ჰავიაცია** (ჰაერში ფრენა): **ჰაეროპლანები—მონოპლანები; ბიპლანები... პოლიპლანები; მათი ამწყო და მომავალი; დირიჟაბლების და ჰაეროპლანების შედარება; დასკვნა.**

კაცობრიობის კულტურის განვითარებას საუკუნოების ისტორია აქვს, მაგრამ ამ განვითარებაში არც ერთი საუკუნე არ ყოფილა ისეთი ნაყოფიერი, როგორც მეცხრამეტე საუკუნეა; ამდენხანს თუ ამ კულტურის ევოლუცია ნელის ნაბიჯით მიდიოდა, მეცხრამეტე საუკუნიდან ის თავბრუ დამხვეველი სიჩქარით მიისწრაფება წინ: ორთქლი, გაზი და ელექტრონი, როგორც მამოძრავებელი ძალა; ლოკომოტივი, პოჩტა-ტელეგრაფი, ტელეფონი, როგორც ხალხთა შორის სხვა და სხვა დამოკიდებულებების განმამტკიცებელი საშვალებანი — აი სხვათა შორის უძლიერესი ფაქტორები ამ უკანასკნელი საუკუნის კულტურის ევოლუციისა. ბუნებამ ადამიანი სხვა ცხოველებთან ერთად ხმელეთისათვის გააჩინა, მაგრამ ადამიანმა თავისი ძლიერება წყალზედაც შეჰქმნა, და აი ამ ბოლო დროს მან ჰაერსაც მისწვდა და იქაც ბატონობა მოინდომა. თანამედროვე ჰაერონავტიკა და ჰავიაცია ორ სხვა და სხვა დიამეტრალურ მოწინააღმდეგე პრინციპებზედ არიან აგებულნი; პირველის აპარატები უფრო მსუბუქია; ვიდრე ჰაერი, ერთნაირივე მოცულობის, მეორესი — უფრო მძიმე ვიდრე ჰაერი; ჰავიაციის ისტორია ისე გრძელია, როგორც კაცობრიობის ისტორია; ადამიანი დასაბამითვე ლამობდა ფრინველების წაბაძვას და ჰაერში ფრენას, მაგრამ მან მხოლოდ ეხლა მიაღწია თავისს დიდი ხნის წადილს. ჰაერონავტიკას ერთი საუკუნის ისტორია აქვს; ის საფრანგეთში დაიბადა და იქვე განვითარდა; 1783 წელს პირველი ჰაეროსტატი ძმ. მონგოლფიერებმა გააკეთეს. — ჰაეროსტატი ან სფერიული ბალონი (ბურთის მსგავსი) მსუბუქი გაზით არის გაბერილი; ფიზიკოსმა შარლიემ მონგოლფიერების ჰაეროსტატი წყალბადით გაბერა, რომელიც 14 ჯერ უფრო მსუბუქია, ჰაერზედ და ამ ბალონით ის ჰაერში ავიდა; აქედან დაიწყო ჰაეროსტატის განვითარება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეტეოროლოგიის განვითარებაში; ჰაეროსტატი შესდგება აბრეშუმის, პაკლის ან სხვა რაიმე მატერიისაგან და რომ გაზი არ გაიპაროს, გარედგან ის გალიფულია ლაქით ან რაიმე სხვა ნივთიერებით, ბალონს ქვევით კალათი აქვს მიბმული, სადაც ჰაერონავტია.—რამდენად ბალონი მსუბუქია და მისი მოცულობა დიდია, იმდენად ის უფრო მაღლა ადის. ჰაერში თოფცა ის გზაში ატმოსფერის გავლენით — დამეიმდება. საჭიროა მისი ხელოვნურად გამსუბუქება, ამისთვის ბალასტს აკლებენ, რომელიც ბალონში თან დააქვთ. და ბალონიც მაღლა მიდის. ძირს ჩამოსაშვებად კლაპანს გახსნიან და გაზს გაუშვებენ — ამნაირი ბალონების საშუალებით პირველად საფრანგეთის გამოჩენილი ფიზიკოსები ჩვენი ატმოსფერის გამოკვლევას შეუდგენ: გაი-ლიუსაკი ათი ვერსის სიმაღლეზედ ავიდა ჰაერში, შემდეგ გლეშერი, კოკსველი, კამილ ფლამარიონი, ტისანდიე და სხვანი. დღეს ჰაეროსტატებს მარტო მეცნიერებისათვის კი არა, სპორტისათვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს, — მაგრამ რაც უნდა იყოს, ის ქარის კაპრიზს ემორჩილება; იქით მიდის, საითკენაც ქარი ჰქრის; საჭირო იყო ჰაერონავტს თავის ნებაზედ წაეყვანა ჰაეროსტატი და აი ფრანგმა ინჟენერმა ბლანშარმა გამოიგონა შესაფერისი საშვალებანი; მან კალათს ორივე მხარეს ბორბლები მიაბა და თან საჭეც. ამ ბორბლებს ხელით ატრიალებდა და ამნაირად განაგებდა თავის ნებაზედ ბალონს. 1785 წელს მან ამნაირ ბალონით ლამანშის სრუტე გადაიარა — აქედან იწყება ჰაეროდინამიკის განვითარება. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ორთქლის გაუმჯობესებული მოტორები გამოიგონეს. ინჟენერმა ჟიფარმა გამოიყენა ეს მოტორები ჰაეროსტატებისათვის და ამით საფუძველი დაუდო თანამედროვე დირიჟაბლების განვითარებას — შემდეგ ელექტრონული მოტორებიც იხმარეს, მაგრამ არც ერთს და არც მეორეს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდათ დირიჟაბლებისთვის, საჭირო იყო რაც შეიძლება მსუბუქი მოტორი, ოცი თუ ოც და ათი წელიწადია, რაც განვითარდა გაზის ინდუსტრია, რაც გამოწვეულია ქვა-ნახშირის და ნავთის ინდუსტრიის ზედ მიწევნით განვითარებით, გაზის ინდუსტრიამ (უმეტესათ ბენზინის და სხვა ესენციის) განავითარა ავტომობილიზმი, საფრანგეთს პირველი ალაგი უჭირავს ავტომობილიზმის განვითარებაში; ავტომობილის ტიპის მოტორმა დიდი როლი ითამაშა დირიჟაბლების და ჰაეროპლანების განვითარებაში. — ამნაირად ეხლანდელი დირიჟაბლი შემდეგი ნაწილებიდან შესდგება — ბალონი უმეტეს ნაწილად წყალბადით გაბერილი, მოგრძო ფორმის: ცილინდრის ფორმის (გერმანიის დირიჟაბლების ტიპი) სიგარის და კვერცხის ფორმის (საფრანგეთის დირიჟაბლების ტიპი). ეს ფორმა გამოწვეულია ქარის თუ ჰაერის მოწინააღმდეგე ძალის დასაძლევად, რაიც ძალიან მავნებელია დირიჟაბლების ცურვის დროს — ჩვენ დაბლა დავინახავთ, რომ სწორედ ჰაერის მოწინააღმდეგე ძალა დიდს როლს თამაშობს ჰაეროპლანების ფრენის დროს — ბალონს დაბლა გონდოლა (ან ნავი) აქვს მიბმული, სადაც

მოთავსდება ჰაერონავტი და დირიჟაბლის მამოძრავებელი მოწყობილება: მოტორი, რომელიც ატრიალებს ჭახრაკს, ამის ჩქარი ტრიალი სჭრის ჰაერს ისე, როგორც გემის **ჭახრაკი** სჭრის წყალს, — საქე ჰორიზანტალური დირიჟაბლის მისახვევ-მოსახვევად, ვეტიკალური საქე დირიჟაბლის ზევით ასაშვებად და ქვევით დასაშვებად — სტაბილიზატორი დირიჟაბლის ჰაერში გასაჩერებლად — დირიჟაბლების გარეგანი კანი ხან მაგარი კარკასიდან შესდგება, მეტალიდან ან ხიდან, როგორც მაგალ. გერმანიის დირიჟაბლი ცეპელინი, ხან რბილი — (საფრანგეთის დირიჟაბლების ტიპია). დირიჟაბლები დიდს როლს ითამაშებენ სფერიულ ბოლონებთან ერთად ატმოსფერის გამოკვლევაში, პრაქტიკულ ცხოვრებაში სამსახურს გასწევს ომიანობის დროს, მოგზაურობისათვის. ბევრია იმისთანა ალაგები, საცა ადამიანის ფეხი ვერ მიეკარება, ამნაირი ალაგების გამოსაკვლევად დირიჟაბლებს დიდი სამსახური შეუძლიან და სხვა, მაგრამ მისი ფართო პრაქტიკული მნიშვნელობა ვიწრო ჩარჩოებში იქნება, რადგანაც ბევრი ნაკლულოვანებანი აქვს, როგორც მაგ. ძრიელ ძვირია. ერთი დირიჟაბლი თავისი მოწყობილობით 200 —300 ათასი მანეთი ღირს; შეიძლება გაზი აფეთქდეს ბალონში; შეუძლებელია, რომ მიწაზედ გაჩერდეს, თუ გაზი არ გაუშვით და ამნაირად ყოველთვის გაზით გაბერვას თხოულობს. საუკეთესო კონსტრუქციის დირიჟაბლები საფრანგეთის და გერმანიისა; გერმანიას ამ ჟამათ ყველაზედ უძლიერესი დირიჟაბლებ.ს ფლოტი აქვს; ერთის შეხედვით გასაკვირველია., თუ რისთვის დაუთმო საფრანგეთმა გერმანიას უპირატესობა თავისი გენიის ნაყოფის სარგებლობაში; მაგრამ საფრანგეთის გენია დირიჟაბლებზედ მარტო არ შეჩერდა, ჰაერის დასაპყრობლად მან უკეთესი პრაქტიკული საშვალება გამონახა — ეს ჰაეროპლანებია. ჩვენ გვინდა ეხლა ამაზედ შევჩერდეთ.

(შემდეგი იქნება)

ინჟ. ივ. მეძმარიაშვილი.

ბ. სემენოვის მოხსენება.

—:—

რუსეთის საზოგადოებაც თანდათან იღვიძებს, უკვირდება მსოფლიო ცხოვრებას და ცოტ-ცოტად ითვისებს ისეთ პოლიტიკურ აზრებს, რომლებსაც დღემდე არავითარი გასავალიც კი არ ჰქონდა. ამ უკანასკნელ დროში მოსკოვში დაარსდა ს

— აქ, თბილისშიდაც, დაარსდეს განყოფილება ჩვენი საზოგადოებისაო. ამ გზით ჩვენ ერთმანეთს გავიცნობთ, შევქმნით და შევიმუშავებთ საზოგადო აზრს, ვიქონიებთ ცოტათი მაინც ზედ გავლენას საკანონმდებლო სფეროებში და ამნაირად წინ წავწევთ ამ დიად საკითხსაო.“

მოხსენებამ კამათიც გამოიწვია. მონაწილეობა მიიღეს: ბ. ბ. ვესელოვზოროვმა, გ. გვაზავამ, მ. მაჩაბელმა, გ. თუმანოვმა და გრ. დიასამიძემ.

სამწუხაროდ ამ კამათმა ერთჯერ კიდევ დაგვარწმუნა, რომ საქართველოს ჯერ კიდევ არა ჰყავს შეგნებული ინტელიგენცია. უნდა გულწრფელად ვაღიაროთ, რომ მხოლოდ ბ. გ. გვაზავამ სწორედ დააყენა კითხვა: შეუძლებელია შეერთება და მშვიდობიანური განწყობილება იქ, სადაც უარყოფილია უფლება ერისაო. მხოლოდ უფლებრივი ნიადაგი, მისი დაცვა და განმტკიცება არის ერთად ერთი გზა ერთობის და სოლიდარობისაო. — მართლადაც, ეს ხომ ტრუიზმია. ვინ არ იცის, რომ უსამართლობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ერთა განწყობილებაში. მიუხედავად ამისა ბ. გვაზავას გაუწიეს წინააღმდეგობა... მ. მაჩაბელმა და გ. დიასამიძემ. ბ. მ. მაჩაბელმა თავიც იჩინა ენის მახვილობითაც. როცა ბ. გვაზავამ შენიშნა: „მიკვირს, რომ უფლებრივი ნიადაგის წინააღმდეგ ლაპარაკობს ქართველი კაცი!“ —ბ. მ, მაჩაბელმა მოსწრებულად უპასუხა: „ნუ თუ სულ თქვენ უნდა დაგიჯეროთ მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველი ხართო?“

ჩვენც გვიკვირს, რომ ბ. მაჩაბელმა ვერ იპოვა სხვა ადგილი და დრო საოხუნჯოდ. საქართველოს აქვს თავისი უფლებანი; ბევრი იმათგანი შელახულია და უარყოფილი. როცა რუსეთის შუაგულიდან თავისებური შიკრიკი მოდის და გვეუბნება უნდა დავამყაროთ ნდობა—სიყვარულიო, რა უპასუხოს ქართველმა კაცმა და ინტელიგენტმა გარდა იმისა, რომ ეს ნდობა და სიყვარული, ეს ძმური ერთობა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ეროვნული უფლება საქართველოში არ იქნება შელახული და უარყოფილი... სწორედ ეს აზრი წარმოსთქვა ბ. გ. გვაზამ. წარმოსთქვა დიდის სიფრთხილით და იურიდიულის საფუძვლიანობით... რა იყო აქ უადგილო ან ვერ-მოსათმენი?! —

ბოლოს ბ. სემენოვი დაჯილდოვეს ტაშის ცემით. ბევრი იქვე ჩაეწერა საზოგადოების წევრად. ასე, რომ აქაც გაიხსნება ადგილობრივი განყოფილება „რუსეთის ერთა შეერთების“ საზოგადოებისა.

Z.

ნუცალ ხანი

ისტორიული მოთხრობა

(ვუძღვნი ძმებს კოტეს და მიტროს).

(გაგრძელება*)

V

—:—

სოფელ ომალოს თავში, მთის ხერხემალზე მდებარეობს ფიჭვის ტყით მოქარგული მირგველის ველი, ანუ ღელე, როგორც თვით თუშები უწოდებენ ეს მთა ჰყოფს თუშეთის და პირიქით ალაზნებს, რომელიც სოფელ ომალოს ბოლოს უერთდებიან ერთმანეთს. მირგველის ველი იყო ძველადვე მთელი თუშეთის საჯარო ალაგი. ამ ველში იკრიბებოდნენ ოთხივე თემის წარმომადგენლები — საპატიო მოხუცნი სათუშო საქმეების გასარჩევად. იმ სისხლის დროს, როდესაც ძალა ალმართსა ხნავდა და მართალი იყო ის, ვისაც მარჯვენა უფრო უჭრიდა, როდესაც განათლებას ჯერ არ გეეთბო გული და არ გაენათლა გონება, — ბევრი ვარდებოდა გვართა, სოფლებისდა მთელ თემთა შორის უთანხმოება, განუწყვეტელი შური და მტრობა. ბევჯერ საქმე სისხლის ღვრით წყდებოდა თანამოძმეთა შორის. ამ ნაირ საქმეების გამრჩეველნი იყვნენ ყველა თუშების წარმომადგენელნი. როდესაც საიმისო მძიმე საქმე ჩამოვარკვებოდა, საქმე, რომელიც ეხებოდა მთელ თუშეთს, მის ბედს და იღბალს, როგორც მტრის შემოსევა ან ჯარის გაგზავნა ბარში საქართველოს მეფის საშველად, მაშინ მთელი ხალხი იყრებოდა, ისა სწყვეტავდა. თუშების წარმომადგენელების, ნამეტნავად მთელი ხალხის განაჩენი, გარდაწყვეტილება დაურღვეველი კანონი იყო ყველა თუშებისათვის, ყველა დაუყოვნებლივ ემორჩილებოდა, ყველას თითქო სიწმიდეთ მიაჩნდა.

მზე კარგა ამოსულიყო, მთების წვერვალები ნისლით მობურული იყო. აქა იქ ცის სივრცეში ზარმაცად მიიზლაბნებოდნენ შეკუმშული ღრუბლების ნაწყვეტები და აჩრდილებდნენ აქა-იქ თუშეთის ღრე-ხევებს და გორ-გურებს.

აივსო მირველის ველი იქა-იქ სოფლებიდან და ციხეებიდან მოსულ ხალხით. თუშების წარმომადგენელებთან ერთად. ყველას, მოხუცს თუ ახალგაზდას აქ მოეყარა თავი, რომ დასწრებულიყვნენ ყრილობაზე, რათა გაეგო თუ როგორ და რით გარდასწყდებოდა სამშობლოს საქმე.

ყველას, ვისაც-კი შეჰხედავდით, რაღაც ნაღვლის ელთერი გადაჰკროდა სახეზე, თითქო სამგლოვიაროდ შეყრილიყვნენო. ხალხის შუაში ისხდნენ თუშების წარმომადგენელები თავჩაღუნულნი და

*) იხ. „ე რ ი“ № 11.

ფიქრში გართულნი. დიად სამშობლო მიწა-წყალის ჭირ-ვარამი აწუხებდა ყველა მათ, ცეცხლად და გესლად ეხებოდა გულს და ჰქეჯნიდა მას!...

— ნეტა რად დაიგვიანეს წოვებმა*), სთქვა ერთმა წარმომადგენელთაგანმა, რა შეჰხედა მზეს და გარდაავლო თვალი გარშემორტყმულ ხალხს.

— მოუსვლელად არ დადგებიან—უთხრა მეორემ,—ეხლა ამ შიშიანობის დროს ისე ადვილიც არ არის იმ სიშორიდან აქ მოსვლა. სადაც არ გვგონია მელებივით მიძვრ-მოძვრებიან ლეკები.

— ვინ წავიდა შესატყობებლად?—ჰკითხა მესამემ.

— გიორგი ომალოელი.

— გიორგი, ხომ შეატყობინე ანთას? მიუბრუნდა მეორე წარმომადგენელი ჭაბუკს, რომელიც იქვე ახლო იდგა.

— როგორ არა, გუშინ დილითვე შევატყობინე, მიუგო ჭაბუკმა, თვით ანთა ვნახე და მითხრა უეჭველათ წამოვალთო.

გიორგი ომალელი იყო ჭაბუკი, ახლად წვერულვაშ ამწვანებული. მოელვარე, ცეცხლის მფრქვეველ მის თვალებში, ლაპარაკში და მოხდენილ ტანის მოძრაობაშიაც-კი ეტყობოდა, რომ მას შიში, რამე განსაცდელი ჩალად არ მიაჩნდა.

— რა ამბავი ისმის წოვათში—ჰკითხა პირველმა წარმომადგენელთაგანმა ომალოელს, — ლეკის ჯარი ხომ არ დასცემიათ?

— წაროს განადგურების შემდეგ ჯარი-კი აღარ დასცემიათ—უპასუხა გიორგიმ, — მაგრამ ამ სამი დღის წინ-კი ერთ ორმოც ლეკს ალაზნის თავიდან ცხვარი წაუსხავთ. კიდევ დროზე გეეგოთ სოფლებში წოვებს; გასულიყვნენ მდევრად და წაროვნის ღელეში გზა მოეჭრათ ლეკებისათვის. ერთი ლეკი აღარ გეეშოთ ამბავის მისატანად.

— აი წოვებიც მოდიან, დევდრის ანთა მოუძღვით!.. წამოიძახა ამ დროს ერთმა ხალხიდან.

ხალხი წამოიშალა.

— ხალხს გაუმარჯოს!...—მიესალმა დევდრის ანთა, — გამარჯობათ, გამარჯობათ! მჭეხარედ მიესალმნენ სხვა მასთან მოსული წოვებიც.

— ღმერთმა გაგიმარჯოთ! უპასუხა ერთ ხმივ მთელმა ხალხმა.

წოვები მყისვე ჩამოხტნენ ცხენებიდან, ცხენები გაუშვეს საძოვარზე და თვითონ მივიდნენ სხვა თუშებთან. ერთი ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ დასხდნენ წარმომადგენელები და დაიწყეს ბჭობა.

— რა ისმის ლეკებიდან, ანთავ, ხომ არა გაგიგია-რა? მიუბრუნდა დევდრის ანთას ერთი წარმომადგენელთაგანი.

— გუშინ ნუცალისაგან დესპანი მოგვივიდა, უამბო წოვათის წარმომადგენელმა, — როგორც ეტყობა, წაროვანში მის ლეკების გაჟლეტის შემდეგ, ძალიან გაბრაზებულა ჩვენზე ხანი, ძალიან გვემუქრება. თუ არ დამიმორჩილდებით, შემოგეთვალა, ნაცარ-ტუტას ავადენ თქვენ ქვეყანასა, დანდობას და შებრალებას ნუღარ მოელით ჩემგანაო. საფლავებიდან ამოვყრი თქვენ მკვდრებს და მგლებს და ყვავ-ყორნებს მივცემ შესაჭმელადაო...

— ხმლით არ აკუწეთ მაგ მუქარის მომტანი ღორები?!... გააწყვეტინა გიორგი ომალოელმა, — ვფიცავ მამის ჩემის სულს, წინაპრების საფლავს, მე რომ იქ ვყოფილიყავ იმ დროს, მალე გავაწყვეტინებდი ხმას...

ანთამ ღიმილით შეჰხედა ჭაბუკს და არა-კი უპასუხა რა.

— რა პასუხი მიეცით? ჰკითხეს წარმომადგინელებმა.

— რასაკვირველია,—სთქვა ანთამ,—გაბრაზებულ ძაღლს მიალერსება და მოფერება უნდა. თუ ჯოხს მოუქნევ, უფრო გაბრაზდება და უფრო გეცემა. ჩვენც ასე მოვიქეცით. მოვეფერეთ, დავაიმედეთ ნუცალი.

— ძალიან გაჭირვებაში ჩავცვივდით, თუშები, მცირე სიჩუმის შემდეგ დაიწყო ისევ ანთამ, — ამისთანა დღე არ ვგონებ, რომ ენახოს თუშეთს როდისმე. თავისუფლად სოფლის არე-მარეც-კი არ გაივლება ყველგან ლეკი დაფარფაშობს. ათამდინ წყემსი მოგვიკლეს მთაში და მათი ცხვარი წაიღეს. საიმისო გზა ბილიკებზე და სერ-ღელებზე დარაჯები გვიდგანან, რომ თვალ-ყური ეჭიროთ ლეკებზე. ამ ნაირ ცხოვრებას ცხოვრება არ ჰქვიან, დაასრულა წოვათის წარმომადგენელმა, — უნდა რამე მოუგვაროთ ქვეყანას, როდემდისინ უნდა ვიყვნეთ ამ ცეცხლში?!..

— ერთი გზა გვაქვს, სთქვა ერთმა წარმომადგენელთაგანმა, — ან უნდა დავმორჩილდეთ მტერს, ან არა და უნდა ვებრძოლოთ სანამ პირში სული გვიდგა.

— როგორ თუ დავმორჩილდეთ, მოუთმენლად წამოიძახა ომალოელმა, — არასოდეს... საიმისოდ რა გვიჭირს... ნუ თუ ისე დავვარდით, რომ ბრძოლა ვეღარ შეგვიძლიან?!.. არა, სანამ მკლავი თავისუფალი გვაქვს და ხმალის ქნევა შეგვიძლიან, უნდა ვებრძოლოთ უნდა ვებრძოლოთ სანამ პირში სული გვიდგა... დეე სადაც გაწყდება, გაწყდეს გაჭიმული ჭაპანი.

— არასოდეს არ დავმორჩილდებით! ბრძოლა, ბრძოლა! გაისმა გუგუნი ხალხში.

— მოიცათ, ხალხო, უთხრა ანთამ,— ამ კითხვის ასე ადვილად გადაწყვეტა არ იქნება. ეს კითხვა ეხება მთელ თუშეთის ბედს და ჩვენ მის შვილებს ვალად გვაქვს კარგად დაუკვირდნთ საქმეს და ისე გადავწყვიტოთ. უნდა იმ ნაირად მოვახერხოთ საქმე, რომ საშვილიშვილოდ საწყეველად არ გავხდეთ.

— როგორ მოვახერხოთ? გაისმა ხმა ხალხიდან.

— დამორჩილებაზე ლაპარაკი, რასაკვირველია, ჯერ ადრეა, მცირე დაფიქრების შემდეგ განაგრძო დევდრის ანთამ, — მე ვგონებ რომ კარგი იქნებოდა მოგველაპარაკა ნუცალთან, გაგვეგო თუ

*) წოვა—თემია თუშებისა.

რა სწადიან, რას თხოულობს ჩვენგან. თუ მისაღებია, მივიღოთ მისი წინადადება, თუ არა და დრო კიდევ გვაქვს, მოვილაპარაკოთ და როგორც უმჯობესი იქნება ისე მოვიქცეთ. იქნება, ნუცალი იმისთანა მცირე რამეს თხოულობს ჩვენგან, რომ მის გულისათვის არ ღირს სისხლის ღვრა, ხალხის ხოცვა-ჟლეტა და ქვეყნის დაწვა-დაბუგვა. ნუ დაგავიწყდებათ, თუშებო, დაასრულა ანთამ, — რომ ჩვენი ქვეყნის წინაშე პასუხის მგებლები ჩვენა ვართ...

— კარგი ფიქრია—მოუწონეს ანთას წარმომადგენლებმა, — იგრე სჯობია, მაშ გავგზავნოთ დესპანი ნუცალთან და ვნახოთ რას იტყვის, რას თხოულობს ჩვენგან.

— თანახმა ხართ, ხალხო?—მოუბრუნდა ხალხს წარმომადგენელი, — გავგზავნოთ ნუცალთან დესპანი, თუ არა?

ხალხი ყოყმანში ჩავარდა და მითქმა-მოთქმა დაიწყო,

— რას იტყვით, თანახმა ხართ, თუ არა? განუმეორა წარმომადგენელმა.

— მოლაპარაკებაზე თანახმა ვართ, გაისმა რამდენიმე ხმა, მხოლოდ არას დროს არ დავმორჩილდებით ნუცალს.

— ყველანი?

— ყველანი! ყველანი!... გაისმა ხმები აქაიქიდან.

— აბა, მაშ დანიშნეთ დესპანი, ვისა გზავნით?

— ანთა! დევდრის ანთა! დაიძახა ერთხმივ მთელმა ყრილობამ?

— მეორე?

— ითაბანული.

— ამათ ორი კაციც უნდა გავაყოლოთ, ვინ გაჰყვება?

— მე! წამოიჭრა წინ გიორგი ომალიელი.

— მეც! წამოიძახა ბაჩომ.

ბაჩო გამოჰყვა წოვათიდან დევდრის ანთას. ეს იყო ისეთივე მამაცი და შეუპოვარი ჭაბუკი, როგორიც იყო გიორგი. წაროვანში ლეკებთან შეტაკებაში პირველი ამისი გავარდა თოფი და მით გაუმასპინძლდა მტერს, პირველი გადაფრინდა ხმლით და, სანამ სხვა ამხანაგები მიეშველებოდნენ, ორი ლეკი გამოასალმა საწუთროს...

მეორე დღეს ოთხი ამორჩეული კაცი დილა ადრიანათ უნდა წასულიყო გირევში ნუცალ-ხანთან.

ყრილობა დაიშალა.

VI

მშვენიერ ფართოდ გაშლილ გირევის ვაკეზე იდგა თავის ჯარით ავარიის ბრძანებელი «ნუცალ-ხანი. ვაკის შუა ალაგას იდგა მისი კარავი, რომლის წინ ლაღად ფრიალებდა გამარჯვებული ხანის დროშა. კარავის კარების წინ ატუზულიყო ხმალ ამოწვდენილი ორი კარის დარაჯი.

შუა დღე ჯერ არ იქნებოდა. კარავში ისხდნენ ნუცალი და მურთაზი.

— ძალიან წინააღმდეგობას გვიწვევენ თუშები,—სთქვა ნუცალმა. მე არ მეგონა, რომ ამდენ ხანს გაგვიძლებდნენ. რამდენი სოფელი, ციხე-სიმაგრეები გავანადგურეთ, მთებზე ცხვარი [illegible] გავუწყვიტეთ და მაინც თავს არ იხრიან.

— რაც გადაგვირჩა სოფლები მიწასთან გავასწოროთ, უთხრა მურთაზმა, — დიდ-დიდ ციხესიმაგრეებს ალყა შემოვარტყათ და მაშინ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩემო ბატონო, რომ თუშები თავსაც მოგვიხრიან და დაგვმორჩილდებიან კიდეც.

— ეგ ეგრეა, ჩემო მურთაზო,—სთქვა ხანმა,— მაგრამ შევძლებთ-კი სულ ორი თუ სამი ციხე ავიღეთ და რამდენი მეომარი დავკარგეთ... ჯარი თითქმის გაგვინახევრდა. მერე თარეშობაში რამდენი დაგვიხოცეს. უნდა მოვსპო თარეშობა, ზიანის მეტი არა მოაქვს-რა,

— ხომ არა გაგიგია-რა, ჰკითხა რამდენიმე სიჩუმის შემდეგ ნუცალმა თავის მხედართ მთავარს — თუშები ხომ არსად არ იყრებიან, ან არაფერს არ აპირობენ ჩვენს წინააღმდეგ?

— არაფერი არ გამიგია, სთქვა მურთაზმა, — მე მაგაზე ფრთხილად მიჭირავს თვალ-ყური, მაგრამ არა ისმის რა. ეჰ, ან რას გაბედავენ, ამაყად დაუმატა ლეკმა, — თავს ზარ დაცემულნი ტურებივით ციხეებში იმალებიან.

— არა, მაინც სახეში უნდა ვიქონიოთ, რაც უნდა იყოს სიფრთხილე გვმართებს.

ამ დროს კარებში გამოჩნდა ანდაქოელების ბელადი—აბდულა.

— რა ამბავია აბდულ? ჰკითხა ნუცალმა.

— მშვიდობა, ჩვენო დიდებულო ხანო, უპასუხა ანდაქოელმა, — თუშები მოვიდნენ და თქვენ ნახვას თხოულობენ.

— შემოიყვანე! — უბრძანა. ნუცალმა.

აბდულა გავიდა.

— ძლივს! სიხარულით წამოიძახა ავარიის ბრძანებელმა, — ეხლა-კი იქნება მივახწიოთ საწადილს. მორჩილობის გამოსაცხადებლად მოვიდოდნენ.

აბდულა მივიდა თუშებთან, რომელნიც აღვირებით ცხენებ ხელში დაჭერილნი, ელოდნენ ხანის პახუხს ბანაკის მოშორებით.

— გამომყევით, უთხრა თუშებს ანდაქოელმა.

თუშებმა დააბეს ცხენები და გაჰყვნენ ლეკს. როდესაც მიუახლოვდნენ ხანის სადგურს, აბდულმა მოსთხოვა იარაღის ახსნა.

— როგორ, რად უნდა ავიხსნად იარაღი?!.. განცვიფრებით ჰკითხა გიორგიმ ლეკს.

— ხანთან არ შეიძლება იარაღით შესვლა! ცივათ და ამაყად მიუგო აბდულამ.

— რატომ არ შეიძლება? მოუთმენლად უთხრა ბაჩომ, — რის გეშინიანთ?.. თუ-კი ჩვენ ეს ხუ-

თი კაცი მოვედით თქვენ ბანაკში და არ გვეშინიან, თქვენ რა გაშინებთ ამოდენა აყარ ხალხს?!..

შხამიანი ისარი შიგ გულში მოჰხვდა ლეკს. თვალები აღენთო და სიბრაზისაგან გაფითრებულ ტუჩებმა ცმაცუნი დაიწყეს. ერთი ორი ამისთანა ისარი კიდევ საკმარისი იყო, რომ სისხლი ჩამოვარდნილიყო ამ დაუძინებელ მტერთა შორის.

ანთამ დააშოშმინა ორივე მხარე.

— გაჩუმდით, უთხრა ნამეტან ფიცხ თავის თანამოძმე ჭაბუკებს, აქ საქმე არ წაგვიხდინოთ. მოთმინება გმართებთ.

— ჩვენ მხარეში ვაჟკაცი და იარაღი გაუყრელები არიან, მიუბრუნდა შემდეგ ანთა მშვიდობიან კილოთი ბრაზმორეულ ლეკს, — ჩვენში უიარაღოთ მხოლოდ მანდილოსნები დადიან. ამისათვის, უთხრა წოვათის წარმომადგენელმა, — ჩვენთვის იარაღის ახსნა შეუძლებელია. ჩვენ იარაღს ვერ ავიხსნით, მოახსენე ხანს და თუ არ შეიძლება უკანვე დავარუნდებით.

— კარგი, აქ მომიცადეთ, სთქვა აბდულამ და საჩქაროთ გასწია ხანისაკენ.

— ღორო!... კბილების ღრაჭუნით წაიბუტბუტა ომალოელმა, — ხომ არ გინდოდა იარაღი აგეყარა ჩვენთვის და შემდეგ, თუ რამე საქმე მოხდებოდა, დაგეჭრათ ჩვენი თავები და როგორც სამხვეწრო კურატებისთვის ყელები დაგეჭრათ... ნურც ისეთი სულელები გგონივართ...

აბდულა გამოეცხადა ნუცალს.

— დიდებულო, ხანო, მოახსენა ანდაქოელმა, — თუშები იარაღს არ იხსნიან, რომ მოვსთხოვე ძრიელ იწყინეს და მითხრეს, რომ თუ იარაღით არ შეიძლება ხანის ნახვა, უკანვე დავბრუნდებითო...

— გამოტვინებულო! იფეთქა ნუცალ-ხანმა, შუბლი შეეკუმშა, წარბები შეჭმუხა და მრისხანე მისი თვალები ცეცხლებს ისროდა, — შენ ბილწავ ჩვენ რჯულს, ჩვენ წმიდა ყურანს, შეგირცხვეს ბუსურბნობა. — შე უბედურო, არ იცოდი აქამდის, რომ ყურანის მოძღვრების თანახმობით დესპანი სრულის ხელშეუხებლობითა და მფარველობით უნდა სარგებლობდეს?!.. წადი და ეხლავე აქ მოიყვანე თუშები.

თავზარ დაცემული აბდულა გავიდა გარეთ. ბევრ ხანმა არ გაიარა, ოთხი შეიარაღებული თუში გამოჩნდა კარავის კარებში.

-- მობრძანდით, თავაზიანათ დაუხვდა ნუცალი თუშებს, — ძრიელ სასიამოვნოა ჩემთვის თქვენი სტუმრობა.

— მაგაში ჩვენ დარწმუნებული ვართ, ხანო, უთხრა ანთამ, — სტუმარი ღვთისაა და ამისათვის ყველასთვის სასიამოვნო უნდა იყოს.

-- ჩემმა ბელადმა თავის უვიცობით და სიბრიყვით შეურაცყოფა მოგაყენათ, სთქვა ავარიის ბძანებელმა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ყურადღებას არ მიაქცევთ და გულში საწყენად არ მიიღებთ.

—ეჰ, ხანო, ნაღვლიანის ღიმილით მიუგო ანთამ, — ჩვენ გულში ისეთი ბალლამი ტრიალებს, რომ მაგნაირი შეურაცყოფა არც-კი ესმის.

-- რა ბალლამი გაწუხებთ, არ მესმის? გესლიანათ ჰკითხა ნუცალმა.

— რასაკვირველია, მტერს მტრის წუხილი არ ესმის, — სიმწარით წაიბუტბუტა თავისთვის ანთამ — ჩვენი მიწა-წყლის უბედურება, მისი ჭირი და ვარამი, ხანო--წარმოსთქვა ანთამ რამდენიმე სიჩუმის შემდეგ, რა აიღო თავი და გაუყარა თვალი თვალს ავარიის ბძანებელს, — დანგრეული, მიწასთან გასწორებული მისი სოფლები და ციხე-კოშკები!... ნანგრევებში და აქა-იქა მთის კალთებზე მოკენჭილი, სამარე მოკლებული, ფრინველების და მხეცების შესაჭმელად გამხდარი თანამოძმეების გვამები—განა ეს ყველა სამწუხარო არ არის ჩვენთვის?!..

— მერე ვისი ბრალია თქვენი მიწა - წყლის განადგურება? გულცივად უთხრა ნუცალმა.

— ჩვენ თქვენ არც გამტყუნებთ, მიუგო ანთამ. ვიცით რომ მტერთა შორეს სათნოება არ სუფევს ხოლმე.

— მაგაში შემცდარნი ხართ, მოუთმენლათ გააწყვეტინა ხანმა, — ჩემ გულიდან მტრისადმი სათნოება არასოდეს არ გამოლეულა!

— მე ისეთი ვერაგი და სისხლის მსმელი მხეცი არა ვარ, როგორიც არის თქვენი კახეთის მეფე ლევანი... ესაო და დიდებმა არ მიიღეს ჩემი მღვდლები და არ იწამეს იესო ქრისტეო, წამოვიდა უთვალავ ჯარით და ქვა ქვაზე აღარ დაანარჩუნა; მიწასთან გაასწორა დიდების ავლა დიდება. შებრალება აღარ იყო არც დიდისა და არც პატარისა, არც ქუდოსნისა და არც მანდილოსნისა. მთა, ღრეხევები მორწყო მათი სისხლით და დახოცილი მკვდრების გვამები მისცა მხეცს შესაჭმელად!..

— დიაღ, ჩვენც გავიგეთ ეგ ამბავი, სთქვა ანთამ, — მეფის მიერ გაგზავნილი ქართველები ხომ ამოეხოცნათ დიდებს და ერთ მღვდლისთვის მოეპარსნათ თავ-წვერ-ულვაში. შეესოთ უკუღმა ჯორზე და ისე გაესტუმრებინათ კახეთში მეფესთან. ეს ისეთი შეურაცყოფაა, დასძინა დევდრის ანთამ, რომ არც ერთი ქვეყნის ბძანებელი არ მოითმენდა. ეგ შეურაცყოფა მარტო მღვდლისა არ არის, არამედ ეგ არის შეურაცყოფა მთელი ქვეყნისა, მისი სარწმუნოებისა და მეფისა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ავარიის ბძანებელს უკვირდა ანთას გაბედული პასუხის გება, მისი პირდაპირი ლაპარაკი. მურთაზი-კი იდგა და მთელ ამ ხნის განმავლობაში თვალს არ აშორებდა იმ ოთხ თუშს უფლება რომ მიეცათ მისთვის, იმ წუთშივე ოთხსავე თავებს დააყრევინებდა.

— ჩვენმა ხალხმა გამოგვგზავნა—უთხრა დევდრის ანთამ ნუცალს—რადა გაგვეგო რა გსურთ და რას გვთხოვთ.

— მე სრულებით არ მინდოდა თქვენი ქვეყნის აოხრება, ხალხის ხოცვა-ყლეტა — ლმოიერად დაიწყო ნუცალმა, — თქვენ თვითონ დამერწმუნებით, რომ ყოველთვის, როდესაც სოფელს, ან ციხე-სიმაგრეს მივადგებოდი, ჯერ მორჩილობას ვითხოვდი, არ მემორჩილებოდნენ თუშები და მეც იძულებული ვიყავი ძალა მეხმარა.

ივ. ბუქურაული.

(შემდეგი იქნება).

განცხადება.

—:—

ქართული მწერლობა საზოგადოდ ვერა სდგას კარგ ნიადაგზე, მაგრამ ყველაზედ უფრო მეტი უბედურობა კი ჩემ ნაწერებს ეწვია: ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ორი ჰატარა ტომის მეტი არ გამოსულა, მაშინ როდესაც რამდენიმე ათეული მაინც უნდა გამოკვემულიყო. ამის მიზეზი ხელმოკლეობა და დაუდევრობა იყო. რადგანაც ეს ორივე მიზეზი დღეს თავიდან აცილებულია, მე თვითონ განვიზრახე სრული ჩემი ნაწერების გამოცემა ამგვარად: გამოვა კრებული ყოველ თვიურად, წელიწადში თორმეტი წიგნი, ორას ფურცლიანი. ჰირველ ას ფურცელზე იქნება დაბეჭდილი ჩემი ახალი ნაწერები ჯერ სრულიად არსად დაბეჭდილი და მეორე ასზე კი ძველი, უკვე სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი აქა-იქ, მაგრამ გასწორებული და შენიშვნებით, თუ რა დროს და ვითარებამ გამოიწვია ეს ანუ ის თხზულება. (მასალები მთელი წლის ე. ი. 12 წიგნისა მზადაა).

წლიური ფასი ერთი თუმანი, რომელიც განაწილდება ოთხად, თითო წიგნიკი ეღირება თითო მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ჯერ-ჯერობით: თბილისში, წერა-კითხვის სახ. კანცელარიაში, ქუთაისში მთავრიშვილისა და ისიდორე კვიცარიძის წიგნის მაღაზიებში, დაწვრილებით შემდეგში.

აკაკი.

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისთვის

ყოველ ლ-დღიური სალსაპოლიტიკოდაიტერატურო გაზეთი

„ჩვენი გაზეთი“

1910 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წინად გამოდიოდა. გაზეთი წლიურათ ეღირება თბილისში და თბილის გარეთ 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., საზღვარგარეთ 14 მან. წლით, ნახევარი წლით 7 მან., ხელის მოწერა მიიღება თბილისში „მომავლი“-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატარეში ს. თავართქილაძესთან —წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—მ. თალაქვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში—პ. ურუშაძესთან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Кон. Цуладзе.

1910 წლის 1 იანვრიდან

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-კვირეულ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„ᲤᲝᲜᲖᲔ“

წლიურად გაზეთი ეღირება —	— 3 მან. 50 კაპ.
ნახევარის წლით — — —	— 2 მან. — კაპ.
სამი თვით — — — —	— 1 მან. 20 კაპ.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: Кутаисъ, редакція „ПОНИ“, Балахванская улица, домъ № 37.

ხელის მოწერა შეიძლება აგრეთვე ისიდორე კვიცარიძესთან.

რედაქტორ-გამომცემელი: **პეტრე სურგულაძე.**

განყოფილება „ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ“ სტამბისა სასახლის ქ., თავად-აზნაურების სახლი